




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 133

2016 წელი 19 დეკემბერი

ხაშური



უმწეოთა უფასო კვების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილია შესაბამისი პროექტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „უმწეოთა უფასო კვების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად.).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

1	პროგრამის სათაური	უმწეოთა უფასო კვების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა
2	პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება
3	პროგრამის რეგულირების სფერო	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები
4	პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-70 000 ქულის ფარგლებშია; შრომისუნარო და მარტოხელა პირები;
5	ბენეფიციართა რაოდენობა	185 პირი
6	პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
7	პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2017 წ.
8	პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2017 წ.
9	პროგრამის მიხედვით დღეში ერთი პირის კვებაზე გახარჯული თანხა	1.99 ლარი
10	უფასო სადილის გაცემის დღეების რიცხვი კვირის განმავლობაში	7 დღე
11	პროგრამის ბიუჯეტი	135 000 ლარი
12	დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი
13	პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
14	მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მექანიზმი	185 პირის უფასო კვებით (სამკომპონენტო სადილი) მომსახურების შესყიდვა მუნიციპალური შესყიდვის წესის შესაბამისად
15	გადაწყვეტილების მიმღები პირი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

განცხადების დამუშავებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი პირი/
ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის მოადგილე, საბიუჯეტო სამსახური, იურიდიული
უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების აღსრულებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
განყოფილება

პროგრამის ზედამხედველობაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

სფეროს კურატორი გამგეობის მოადგილე

პროგრამის პერიოდულ მონიტორინგზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი